განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

‘’ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2025-2028 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2025 წლისათვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრული იყო 8,7 % პროცენტით,

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს აცნობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები,

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები. საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2025 წელს მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის უდიდესი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე.

ბიუჯეტის პარამეტრები: 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 35 375 700 ათასი ლარით.

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 5 975,7 ათასი ლარით.

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2025 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 30 839,1 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 816,0 ათასი ლარით .

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 27 239,1 ათასი ლარით.

2025 წელს სახელმწიფოს მიერ პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 1.34 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 27 239,1 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 016,0 ათასი ლარით . აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით.

- **ქონების გადასახადის** 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 600,0 ათას ლარს; 2024 წლის პირველად ბიუჯეტთან შედარებით 2025 წლის ქონების გადასახადის პროგნოზი გაზრდილია 800.0 ლარით. 2024 წელის დასაწყისში შეადგენდა 2 800,0 ათას ლარს.

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები (მიზნობრივი ტრანსფერი) განისაზღვრება 354.0 ათასი ლარით. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი

ტრანსფერის მოცულობა 2025 წელს გაიზარდა 85.0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა მოხმარდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ფუნქციონირებას.

2025 წელს არა საგადასახადო შემოსავლების გეგმის პროგნოზი შეადგენს 4 022.6 ათას ლარს. წინა საანგარიშო წლის მაჩვენებელთან შედარებით არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა გაიზარდა 1 014.7 ათასი ლარით. იგი 2024 წელს შადგენდა 3007.9 ათას ლარს. არასაგადასახადო შემოსავლების 2025 წლის საპროგნოზო მონაცემების განსაზღვრა განხორციელდა კონსერვატიული მიდგომით.

განვლილმა პერიოდმა გვაჩვენა რომ ბიუჯეტის შემდგომი წლების შემოსავლების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. რადგან შემოსავლების კუთხით არსებული გაურკვევლობა თავის მხრივ აისახება ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვისათვის სწორი პროგნოზების გაკეთებაზე, 2025 წელს არა საგადასახადო შემოსავლების გეგმის პროგნოზი გაკეთდა საშუალო მაჩვენებლის პრინციპით. იმ იმედით რომ წლის განმავლობაში შესაძლებელია შესაბამისი ცვლილების შეტანა დაგეგმილ საპროგნოზო მაჩვენებელში.

2025 არასაგადასახადო შემოსავლები გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 340,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 300,0 ათასი ლარი.
  - ✓ მიწის იჯარა-40,0 ათასი ლარი.
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 2 320,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 50,0 ათასი ლარი;
  - ✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 2000,0 ათასი ლარი;

    სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გეგმის ზრდა განაპირობა ახალი სამორინე ობიექტების ასებობამ. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი სამორინე. ასევე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემოღებული იქნა გადასახადის ახალი სახე- „ გადასახადი სამორინეს მაგიდიდან“.
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 200.0 ათასი ლარი;

    გეგმის ზრდა 2024 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში განხორციელდა 50, 0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა განაპირობა ახალი სამეწრმეო სუბიექტების არსებობამ.
  - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 70,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1362,6 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 262,6.0 ათასი ლარი;

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში 200.0 ათასი ლარი;
- საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 750.0 ათასი ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 150.0 ათასი ლარი

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 160.0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაციის) სახით მისაღები შემოსავლების გეგმის პროგნოზირება განხორციელდა მინიმალური პროგნოზების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში არსებული საპრივატიზებო გეგმის შესაბამისად. გამომდინარე იქედან რომ შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ გასაყიდი ქონების მუნიციპალური წილის სწორი პროგნოზირება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას განაპირობებს ის რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ მოხდეს შეუსრულებელი დაპირებების გაცემა. აღნიშნული ეხება როგორც მიმდინარე (მათ შორის, სოციალურ), ასევე კაპიტალურ ხარჯებს. გამომდინარე აქედან არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა განისაზღვრა განვახორციელეთ 160.0 ათასი ლარით. ანუ 60.0 ათასი ლარით მეტი 2024 წლის (100.0 ათას ლარით.) მაჩვენებელთან შედარებით.

- მათ შორის არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან გეგმა განისაზღვრა 100.0 ათასი ლარი.
- შენობა ნაგებობების გაყიდვიდან გეგმა განისაზღვრა - 60,0 ათასი ლარი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გეგმის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 33 454.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მისია -ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ქალაქის ცნობადობის გაზრდას, გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას და ეკოლოგიური გამწვანების სტანდარტების დაცვას.

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 35 375 .7 ათას ლარს, 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 5 975,7 ათასი ლარით.
აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორით, გაიზარდა

- 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის **დამატებითი ღირებულების** გადასახადიდან შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 016,0 ათასი ლარით,

- 2024 წლის პირველად ბიუჯეტთან შედარებით 2025 წლის **ქონების გადასახადის** პროგნოზი გაზრდილია 800.0 ლარით.

- წინა საანგარიშო წლის მაჩვენებელთან შედარებით **არასაგადასახადო შემოსავლების** გეგმა გაიზარდა 1 014.7 ათასი ლარით.
- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხის გეგმა განისაზღვრა 60.0 ათასი ლარით მეტი.
- **მიზნობრივი ტრანსფერი** იზრდება 85,0 ათასი ლარით.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2025 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 460 ლარის ოდენობით ნაცვლად 1330 ლარისა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.
აქვე მინდა ავღნიშნო , რომ 2025 წლის ბიუჯეტში, ყველა პრიორიტეტების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები, გენდერული თანასწორობის პოლიტიკა. ქალების საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების გატარების გზით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 9 030,5 ათასი ლარი;
აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახსრების მიმართვით უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს
.მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ 2025-2028 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. მაშინ როდესაც არსებობს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი . რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ. მუნიციპალიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების
ეფექტიან მართვას, ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ხედვა: წყალტუბო - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების წინაპირობაა,

მისია: წყალტუბო არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში,წყალტუბო იმ უიშვიათესი კურორტების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა

დაგეგმარება და განაშენიანება მეცნიერულად დასაბუთებული, ორიგინალური გენერალური გეგმის მიხედვით განხორციელდა. რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

➢ საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;

➢ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;

➢ ქალაქის ცნობადობის გაზრდას;

➢ ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;

➢ გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;

➢ ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

აქედან გამომდინარე 2025 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა–რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება -3 201,8 ათასი ლარი;

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში , რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება და გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება. განხორციელედება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება. ასევე საჭიროების შემთხვევაში თოვლის საფარისაგან, მეწყერის,ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა შეკეთება. ორმოული შეკეთება, შუქნიშნების შეკეთება და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იგეგმება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: ქალაქ წყალტუბოში გზის რეაბილიტაცია ასევე სოფ. ცხუნკურში, ქვილიშორში, ყუმისთავის, ქალაქ წყალტუბოში, გეგუთის, მუხიანის და სხვა სოფლების გზის რეაბილიტაცია.

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - 70 0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობიდა ზოგადი ხედვის კამერების და დეტალების შეძენა-მონტაჟიდ და მოვლა შენახვა, შუქნიშნების მოვლა, - შენახვა, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების , აბრებისა და ტრაფარეტების შეძენა.

სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია - 420,0 ათსი ლარი სანიაღვრე ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემატურ ნაწილს.ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც მიმდინარე საექსპლოატაციო, ასევე სარეაბილიტაციო და კაპიტალური

სამუშაოები. სანიაღვრე არხები მოეწყობა სოფელ გვიშტიბში, სოფელ წყალტუბოში და ქალაქ წყალტუბოში.

- **წყლის სისტემების** განვითარება -800,0 ათასი ლარი;

  აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და სასმელი წყლით უზრუნველყოფის ხარჯებს.პრიორიტეტულია მოსახლეობისათვის 24 საათიანი სასმელი წყლის მიწოდება. ასევე მოიცას შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას და

  სასმელი წყლით უზრუნველყოფის ხარჯებს.

> **გარე განათება -1 055,0 ათასი ლარი;**

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის როგორც ქალაქად ასევე სოფლად, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისათვის, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისათვის, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელედება გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ახალი ქსელის მშენებლობა. მ/შ

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია -900.0 ათასი ლარი,

გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა- 155.0 ათასი ლარი.

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: სოფელ ქვილიშორში, ჩუნეშში, ცხუნკურში და სხვა სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია - 38,3 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება-430,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის. კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია. ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი. განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა. დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა, წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია. თანადაფინანსება გაგრძელდება პრინციპით 15/85. ანუ მოსახლეობა დაფარავს გადასახდელი თანხის 15 % ხოლო მუნიციპალიტეტი 85 %-ს. ასევე პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლაპატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და შექმნას ხელსაყრელ პირობები სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ისეთი სხვადასხვა სახის ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია და ასახვა ვერ ჰპოვა ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2 485.4 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას ემსახურება ა(ა)იპ გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის სამსახური

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია -150.0 ათასი ლარი.

ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, სკვერებისა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.

- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 200,0 ათასი ლარით.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის 50.0 ათას ლარს ზემოთ ღირებული პროექტების საჭირო ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული ხარჯი განაპირობებს შესრულებულიბ სამუშაოების ხარიხს.

მოქალაქეთა ჩართულობა- 150,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქვეპროგრმის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები. ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მოსახლეობის მეტი ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში.

ოჯახების სოციალ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა-100.0 ათასი ლარი.

- ✓ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა -2 595. ათასი ლარით;**
- ✓ **მათ შორის:**

  დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა - 2 535,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა. კაპიტალურ დაბანდებებს დასუფთავების სფეროში. უპატრონო ცხოველების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების ოპერირება-60,0 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება უზედამხედველო ძაღლის იზოლირება. ცოფზე ვაქცინაცია. კასტრაცია. სტერილიზაცია და დაბირკვა.სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა და მოვლა.

განათლება 6 123.5 ათასი ლარი, მათ შორის : მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

- ✓ **საბავშვო ბაღების გაერთიანება - 6 123.5 ათასი ლარი;**

2024 წელთან შედარებით საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირების თანხა გაზრდილია 749,8.0 ათასი ლარით ,რომრლიც მიმართული იქნება სკოლამდელ დაწესებულებაში საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.

ბავშვთა კვების რაციონის გასაუმჯობესებლად კერძოდ თვეში ბავშვთა კვება ნაცვლად არსებული 90 ლარისა განისაზღვრება 105 ლარით . ანუ თვითეულ ბავშვზე კვების თანხის ზრდა იქნება 15 ლარი. გაერთიანებაში რეგისტრირებულია 1500 ბავშვი. ასევე გათვალისწინებულია საბავშვო დაწესებულებებში სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 5 586,6 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება გაიზარდა (იყო 4 822.9 ათასი ლარი) 763.7 ათასი ლარით 2024 წლის პირველად ბიუჯეტთან მიმართებაში. აღნიშნული განპირობებულია იმით რომ გაიზარდა სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, განხორციელდება თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი ზრდა. სპორტსმენებზე დღიური ნორმის გაორმაგება.

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. კერძოდ მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება და მუნიციპალიტეტის სახელის გარე გატანა. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტ სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით.

- ✓ **კულტურის სფეროს განვითარება ა(ა)იპ კულტურის ცენტრი -1 525.5 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს ბიბლიოთეკების, კლუბების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, მუზეუმებისა და კულტურის სხვა ობიექტების დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას, განახორციელებს ხელფასების 10 % -იან ზრდას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ცენტრში შედის: 3 მუზეუმი, 2 კულტურის სახლი, 10 სასოფლო კლუბი, 27 სოფლის ბიბლიოთეკა. აგრეთვე ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ივერია“ და ანსამბლი ნადური. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს ა(ა)იპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრის სუბსიდირება.

  კულტურული ღონისძიებები-230.0 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები: შემოდგომის წყალტუბო, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო საერთაშორისო დღე, 9 აპრილის ღონისძიება, სიყვარულის დღე, ქართული სამოსის დღე, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიები და ა. შ.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი.**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა

მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება, ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

ა(ა)იპ ბავშვთა და ახლგაზრდობის ცენტრი - 926.0 ათასი ლარი. სუბსიდია გაიზარდა 135,6ათასი ლარით. გაერთიანებულია 652 ბავშვი. მ/შ გოგო -434, ბიჭი218. არსებობს 13 წრე. მათემატიკის, დაწყებითი, ინგლისურის, ხელმარჭვეთა წრე, გიტარის, ხალხური საკრავების, ქართული ხალხური სიმღერების, ეკოლოგიის , ბალეტის და ა. შ.ა(ა)იპ ბავშვთა და ახლგაზრდობის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 3 ბავშვთა ანსამბლები. თითოეული 42 ბავშვის შემადგენლობით. ეს ანსამბლებია „ოცნება“, „ალილო“ და ფოლკლორული ანსამბლი „ნაკადული“ . ა(ა)იპ ბავშვთა და ახლგაზრდობის ცენტრში გაერთიანებულ ბავშვთა სწავლება უფასოა. დასაქმებულია 75 თანამშრომელი 60 ქალი 15 კაცი. ცენტრის ძირითადი მიზანი და მიმართულებაა ქალაქის ახალგარდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა- რეალიზაცია. ეს სწორედ ის პრიორიტეტია რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიმართულებას.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშწყობა - 100.0 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ტაძრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანება - 1 657.2 ათასი ლარი . აღნიშნულ ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 60 საშტატო ერთეული,

ასევე აღსანიშნავია რომ განხორციელდა სპორტული ფარიკაობის, ძალოსნობის და ფიზ. მომზადების 3 ახალი სექციის დამატება, სადაც დამატებით დაკავდება 100 - მდე ბავშვი. სულ იფუნქციონირებს 11 სექცია- ბერძნულ რომაული, კალათბურთის, კრივი, მაგიდის ჩონგბურთი, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, ნიჩნოსნობა, ჭადრაკი დამატებით გაიხსნა ტანვარჯიში, ძიუდო , ფარიკაობა, და ნჩნოსნობის სექციები და 4 კლუბი. ფალავანთა , რაგბის , ხელბურთის, ფრენბურთისკლუბები. რაგბის გუნდმა დაიმატა გამორჩეული უმაღლესი ლიგის წამყვანი მოთამაშეები. მ/შ ზოგიერთი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა. ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული კლუბების გაერთიანების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაცია - 150.0 ათასი ლარი- აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა. ახალი სპორტული მოედნების მშენებლობა იგეგმება როგორც სოფლად ასევე ქალაქის ტერიტორიაზე

ა(ა)იპ წყალტუბო არენა - 718.0ათასი ლარი - ახორციელებს მუნიციპალიტეტში მდებარე 2 სტადიონის მოვლა პატრონობას, მინდვრის გაპარსვა, შეღებვა, მორწყვა გაწმენდა და შხამქიმიკატების შეტანა. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს სტადიონების მზადყოფნას წლის ნებისმიერ პერიოდში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი- 203.9 ათასი ლარი. 2024 წლის მაჩვენებელთან შდარებით სუბსიდია გაიზარდა 26.9 ათასი ლარით. მისი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, ქალაქის წარმოჩენა და კადრების გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც ზრდის ვიზიტორთა სანდოობას.კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია

სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვა / მონაწილეობის გზით, სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება, ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე, ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება, ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 4 094.3 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება 2024 წლის პირვანდელ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 926,2 ათასი ლარით, რომელიც განპირობებულია იმით რომ გაიზარდა ცალკეული პროგრამების დაფინანსება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამიტომ მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

ასევე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება მთავარი ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის " სუბსიდირება - 304.0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის აღრიცხვა, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; KOVID- 19-ის ტესტირება, დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით, C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებით შემთხვევაში მკურნალობა. მოხდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო სარგოს ზრდა 10%-ით

ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის სუბსიდირება- 579.4 ათასი ლარით. წინა საანგარიშო წელთან მიმართებაში სუბსიდირება გაზრდილია 134.3 ათასი ლარით. აღნიშნული მატება განპირობებულია იმით რომ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 220 სოციალურად დაუცველი და შეჭირვებულის კვებით უზრუნველყოფა. ნაცვლად 200 ბენეფიციარისა. წარმატებით ფუნქციონირებს ე.წ. „შინ მოვლის პროგრამა". მუნიციპალიტეტი შინ მოვლის პროგრამით მომსახურეობას უწევს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 20 შეჭირვებულ მოქალაქეს, რომლებიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობენ. გაუმჯობესდა კვების მენიუ. ნაცლად არსებული2024 წელს არსებული 4 ლარისა, კვების ღირებულება შეადგენს 4.50 ლარს. შეიცვლება სამზარეულო ინვენტარი.

ა(ა)იპ " ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"- 283,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18- წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეციარების ზრდა განვითარების ხელშეწყობა. მათი იზოლაციიდან გამოყვანა და საზოგადოებასთან ინტეგრაცია. ამჟამად ა(ა)იპ " ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ში სწავლებას გადის 18 აღსაზრდელი. ა(ა)იპ " ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"- ს სუბსიდირება გაიზარდა 42.9

ათასი ლარით. სუბსიდიის ზრდა განპირობებულია თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი ზრდით. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად.

- **სოციალური პროგრამები - 2 929.0 ათასი ლარი;** სოციალური პროგრამებზე მიმართული სახრების 656.0 ატასი ლარით ზრდა განაპირობა ახალი სოციალური პროგრამის დაფინანსების ზრდამ. როგორიცაა *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა/შეძენა . (2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 400.0 ათასი ლარი ხოლო მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებულია 500.0 ათასი ლარი), გაიზარდა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება. წარჩინებულ სტუდენტების ყოველთვიური სტიპენდია.*

გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება- -3,0 ათასი ლარი;* ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ასი და მეტი წლის უხუცესების ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.
- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო დახმარება- 13.5 ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია* მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებილ პირთა , სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება ხორციელდება მიზნობრივი ტრანსფერით.
- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება- 840.0 ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია* მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება სხვადასხვა კატეგორიებზე. რათა მოხდეს მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათი ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა.აღნიშნული პროგრამის დაფინანსების ზრდა 35.0 ათასი ლარით განაპირობა ახალი პროგრამების შემოღებამ, როგორიცაა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 120 000 ქულის ჩათვლით)პირველკლასელებისატთის სასკოლო ნივთების შესაძენად - 100 ლარის თანადაფინანსება, შედარებით ახალ პროგრამას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო 100 %-იანი გრანტი, 2025 წლის განმავლობასი მიეცემათ სტიპენდია 200 ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახების მატერიალური წახალისება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება -130.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.*

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება- -900. 0 ათასი ლარი; პროგრამის*

დაფინანსება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები,სხვადასხვა ლაბორატორიულ ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევების ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

- *სტიქიის ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება-150, ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია* სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება-60.0 ათასი ლარი. ნაცვლად წინა წელს გათვალისწინებული 58,0 ათასი ლარისა.*
- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა/შეძენა - 500.0 ათასი ლარი. ნაცვლად წინა წელს გათვალისწინებული 400,0 ათასი ლარისა.*

. ***გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა-7.5 ათასი ლარი.*** *ქვეპროგრამის მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული საჭიროებების*

კვლევა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოს საბჭოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით (2025–2028) გათვალისწინებული აქტივობების შესრულებით განხორციელდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნისა და აღსრულების ხელშეწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა, ქალების საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების გატარების გზით. პროგრამის მიზანია საბჭოს გაძლიერება და გააქტიურება გენდერული თანასწორობის, ცნობიერების ამაღლების, ეფექტური კომუნიკაციისა და მგრძნობელობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით.

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი -7 425.9 ათასი ლარი, მათ შორის:** მმართველობითი ხარჯების 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 637,8 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია არაფინანსური აქტივების და საქონელი და მომსახურეობის მუხლის ზრდით. კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდით, გამომდინარე იქედან რომ იგეგმება ხელფასების 10 %-იანი ზრდა.

  მმართველობითი ხარჯების დაფინანსება:პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯებს და ა.შ.

  საკრებულოს დაფინანსება - 1 983.3 ათასი ლარი;

- ✓ მერია - 5 291,7ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 100,0 ათასი ლარი;
- ✓ თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 50,9 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 56,0 ათასი ლარი

- ✓ **მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად**

- ✓ **განისაზღვრება:**

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2025 წლის პროექტი**
	სულ ჯამი	**35375,7 000**
0100	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	7425,9
01 0101	საკრებულო	1983,3
0101 02	მერია	5291,7
0101 04	თანამშრმელთა გადამზადება	50,9
010102	სარეზერვო ფონდი	100,0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	9 030,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	3 201,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1220,0
02 03	გარე განათება	1 055,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	38,3
0205	ბინათმესაკუთრეთა ამხანგობების განვითარება	430,0
0206	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია	150,0
0206	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2485,4
0208	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	100,0
0209	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	100,0
0210	მოქალაქეთა ჩართულობა	150,0
0211	ოჯახების სოციალ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	100,0
03 00	**დასუფთავება გარემოს დაცვა**	2595,0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	60,0
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	2535,0
04 00	**განათლება**	6 123,5
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	6123,5
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზედობა და სპორტი**	5586,6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2581,2
0502	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1755,5
0502	ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	926,0
0502	ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	203,9
0502	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0
0503	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20,0
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	4094,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	284,0
06 02	**სოციალური პროგრამები**	2977,1
060201	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	597,4
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	3,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომ. გაუმჯობესებისათვის	130,0
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა სარიტუალო	13,5
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება	840,0
0602	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	283,9
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	900,0
0602	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	150,0
0602	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7,5
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულისოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა /შეძენა	500,0
0602	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება	60,0
0602	დედმამით ობოლ ბავშვთა დახმარება	12,0
0602	ბინის ქირით უზრუნველყოფა	200,0
0602	წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური სტიპენდია	60,0
0602	სპეციალიზებული დაწესებულებიდან მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვის დახმარება	3,0

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას

სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2025 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენს 63,0 ათ ლარს, 2025 წლისთვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) იგეგმება ვალის შემცირება 63.0ათ. ლარით.

შესაძლებელია ითქვას რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსის გამოყოფას დ ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე. რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესებას.

ცალკეულ სფეროებში განხორციელდა გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის დროს. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების მხარდაჭერას ადგილობრივი რესურსებით.

ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 30 783,0 ათასი ლარით:

განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვოროს 4377,1ათასი ლარით. მათ შორის,

ა) განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 537,1 ათასი ლარით თანდართული რედაქციით:

მუნიციპალიტეტის მერია და შესაბამისი სამსახურები მზადყოფნას გამოთქვამენ წარმოდგენილ პროექტში თანხობრივი და თვისობრივი პარამეტრების მიმართ შენიშვნების, წინადადებების განსახილველად. ამასთან წინადადებები ცალკეული პროგრამების და პროექტების თანხობრივ ზრდაზე განხილულ იქნება შესაბამისი თანხით ალტერნატიული წყაროს მითითების შემდგომ, რამდენადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ბაზა არ იძლევა წარმოდგენილზე მეტი ოდენობით გადასახდელების პროგნოზირება-დაგეგმვის შესაძლებლობას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2025-2028 წლები);
2. ინფორმაცია 2024 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

N	რეკომენდაციის ავტორი	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინება	
I	საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია.	1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაზე თანხის დამატების შესახებ	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის გზით ისევ გაითვალისწინება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანხის ზრდა მომართვების შესაბამისად.	
		2. სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაციის პროგრამაში სერგეი მესხის ქუჩის დამატება;	გათვალისწინებული იქნება 2025 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის შესაბამისად.	
		3.გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების პროგრამის თანხის გაზრდა	გათვალისწინებული იქნება 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებების დროს, შესაძლებლობის შესაბამისად.	
		4. ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის პროგრამაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;	გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებისას. შესაძლებლობის შესაბამისად.	
		5. მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრისა და სამხატვრო სკოლაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება;	მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებულია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდიაში, ხოლო რაც შეეხება სამხატვრო სკოლას გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობის შესამაბისად.	
		6. ა(ა)იპ „გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრში“ მოხდეს შტატების დამატება.	აღნიშნული გათვალისწინებუ;ლი იქნება 2025 წლის საანგარიშო პერიოდში.	

II	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“	1.უპატრონო ცხოველების ოპერირების ფუნქცია, უკეთესი კონტროლის მიზნით, გადავიდეს ა(ა)იპ „გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მოვალეობაში	აღნიშნულ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დარჩეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის კონტროლოს ქვეშ, ვინაიდან როგორც ჩვენთვის ცნობილია 2025 წლიდან შესაძლებელია იმერეთის რეგიონში აშენდეს ინტერმუნიციპალური თავშესაფარი, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი მუნიციპალიტეტის რესურსების გაერთიანებასა და საერთო სერვისის მიწოდებას აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.	
		2. გათვალისწინებული იქნას მოქალაქეებზე გასაცემი ერთჯერდი დახმარებების თანხის ზრდა.	**2025წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია:** - ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება ნაცვლად 500 ლარისა განისაზღვრება 600 ლარით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება გარდა ცერემბრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა ნაცვლად 400 ლარისა განისაზღვრება 500 ლარით . 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 120000 ქულის ჩათვლით) პირველკლასელებისათვის სასკოლო ნივთების შეძენის მიზნით ნაცვლად 100 ლარისა თანხა განისაზღვრება - 150 ლარით, ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება ნაცვლად ერთჯერადი ფულადი დახმარება 2000 ლარი, განისაზღვრება ყოველთვიური ფულადი დახმარებით, თვეში 250 ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება ნაცვლად 300 ლარისა განისაზღვრება 500 ლარით. - აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები რომლებიც ამჟამად არიან მომლოდინეთა სიაში მათი სარეაბილიტაციო პროგრამები დაფინანსდება 2025 წლის ბიუჯეტიდან. დედ-მამით ობოლი ბავშვებისთვის, ნაცვლად კვარტალში ერთხელ 400 ლარისა იქნება 500 ლარი.	

III	საკრებულოს ჯანდაცვის აკითხთა კომისია	1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენა - გაიზარდოს თანხა აღნიშნულ მუხლში.	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენისათვის თანხების გაზრდა 2025 წლის ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული ვინაიდან უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 იანვრის N 1 დადგენილების შესაბამისად მთელი ქვეყნის მაშტაბით და მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტშიც ხორცილედება, უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი (3 და მეტი არასრულწლოვანი) ოჯახებისათვის დამატებითი სოციალური მხარდაჭერის მიზნით გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.	
		2.ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა სოციალური დახმარებების: დედ-მამით ობოლ ბავშვთა, სამამულო ომის მონაწილის, , ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა დახმარების ზრდა.	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 300 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 300 ლარისა სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 0-და 310001-ჩათვლითა, 100 წელს გადაცილებული პირებისათვის, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინკლუზიური ცენტრის ბენეფიციარი 18 წლამდე ბავშვებისათვის, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას, კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულებისა. ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის	

			სიმსივნეები) დახმარება - 2000 ლარი ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 2000 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 300 ლარისა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2500 ლარს. დედ- მამით ობოლი ბავშვებისათვის 600 ლარამდე ფულადი თანხის გაზრდის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ ბენეფი ციარებზე თანხა უკვე გაიზარდა 2023 წელს და წელიწა დში 1200 ლარს მიაღწია. (კვარტალში-400 ლარი). რაც შეეხება სარიტუალო მომსახურების თანხის გაზრდ ას, უკვე გათვალისწინებულია და მომდევნო წლის ბიუ ჯეტის პროექტში გაზრდილია 250 ლარიდან 300 ლარამდე. რაც შეეხება უჭირისუფლო გა რდაცვლის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას , აღნ იშნულის ზრდაც განხორციელდა 2024 წელს 400 ლარამ დე. ასევე შშმ ბავშვების დახმარება გაუტოლდება ცერბრალური დამბლით დაავდებულ პირთა ერთჯერად ფულად დახმარებას.	
		ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ მომლოდინე 30 ბენეფიციარისთვის, კომისიის გადაწყვეტილებით, საჭიროა გამოიყოს შესაბამისი თანხა.	გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში , წლის განმავლობაში ისევ მოხდება სუბსიდიის ზრდა	
		ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრისთვის“, სანიტარული დამუშავების ოთახის კეთილმოწყობისთვის, კომისიის გადაწყვეტილებით, საჭიროა გამოიყოს შესაბამისი თანხA	გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში , წლის განმავლობაში ისევ მოხდება სუბსიდიის ზრდა	

III	იურდიულ საკითხთა კომისია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორ სართულიანი ბინების გადახურვა, ფასადებისა და სადარბაზოების მოწყობა განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან 100 % დაფინანსებით.	გადაწყვეტილება მიიღება 2025 წლის საბიუჯეტო წლის განმავლობაში არსებული შესაძლებლობის გათვალისწინებით	
iv	კულტურის, ,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდ ობის საქმეთა კომისია	სოფლებში არსებული ტრადიციული დღესასწაულების აღსანიშნად თანხის გათვალისწინების შესახებ	აღნიშნულის გათვალისწინების მიზნით გაეზრდება სუბსიდია ა(ა)იპ კულტურის ცენტრს.	
		საბავშვო ბაღებში სპეც. მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და მეთოდისტის შტატის დამატების შესახებ	გათვალისწინებული იქნება ეტაპობრივად	
V	მუნიციპალი ტეტის მერიის მრჩეველთა საბჭო	უზედამხედველო ძაღლების სპეციალური თავშესაფრის მოწყობა	2025 წლიდან შესაძლებელია იმერეთის რეგიონში აშენდეს ინტერმუნიციპალური თავშესაფარი, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი მუნიციპალიტეტის რესურსების გაერთიანებასა და საერთო სერვისის მიწოდებას აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.	
		საკანალიზაციო სამუშაოების პარალელურად გზების აღდგენითი სამუშაოების წარმოება	გათვალისწინებულია	
		საკონცერტო დარბაზ „ივერიის“ რაებილიტაციისათვის თანხის გათვალისწინება	აღნიშნული საკითხი დაყენებულია სახელმწიფოს წინაშე დაფინანსების მისაღებად	
		9 აპრილის ქუჩაზე არსებული კორპუსების კედლების შეფუთვა	აღნიშნული საკითხი დასმული იქნება საქართველოს შრომის, დევნილთა , ჯანმრთელობისა და სოც დაცვის სამინისტროს წინაშე	
Vi	საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია	გზების მიმდინარე შეკეთებაზე თანხის ზრდა - ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციისთვის თანხის ზრდა	გაითვალისწინება საანგარიშო პერიოდში შესაძლებლობის შესაბამისად	